

GRASS  
REFORMANDA



# გერმანიის კანცლერის ვიზიტი საქართველოში

ავტორი: გია ჯაფარიძე,  
მარიამ წიწიკაშვილი

საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS)

---

თბილისი 2018

23-24 აგვისტოს, რეგიონალური ვიზიტის ფარგლებში, თბილისს გერმანიის ფედერალური კანცლერი, ანგელა მერკელი, ეწვევა. ამ ვიზიტს დიდი ხანია ელოდნენ საქართველოს დედაქალაქში, გერმანიის კანცლერი 10 წელია საქართველოში არ ყოფილა. რა გზავნილებით ჩადის ანგელა მერკელი საქართველოში, ამაზე მხოლოდ ფრთხილი ვარაუდები შეიძლება, მაგრამ მისი ვიზიტი, რომელიც ნატო-ს ბუქარესტის სამიტის და 2008 წლის აგვისტოს ომის ათი წლისთავს დროში ოდნავ ცდება, უკვე თავისთავად გზავნილია.

### **მერკელის ვიზიტი როგორც გზავნილი**

გერმანიის კანცლერის ვიზიტი პოლიტიკური მხარდაჭერის გზავნილია საქართველოსთვის მაშინ, როცა ვერც ევროპის კავშირი და ვერც ნატო ინტეგრაციის კუთხით თბილისს ახალს და ხელშესახებს ვერაფერს სთავაზობს, მიუხედავად იმ აღიარებული წარმატებებისა, რომლებსაც ქვეყანამ ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე მიაღწია.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ პოლონეთი-შვედეთის მიერ ინიცირებული „აღმოსავლური პარტნიორობის“ პროგრამა ამ პროექტში მონაწილე ქვეყნების ევროპის კავშირთან მეტ დაახლოებას გულისხმობდა. მიუხედავად იმისა, რომ გერმანია აღმოსავლეთ პარტნიორობას არ განიხილავს ევროკავშირის გაფართოების ინსტრუმენტად<sup>1</sup>, ბერლინისთვის, როგორც ევროკავშირის ლიდერი სახელმწიფოსთვის, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია „აღმოსავლური პარტნიორობის“ წარმატება და ამ მხრივ, საქართველო, აღნიშნული პოლიტიკის ლიდერი სახელმწიფო ბერლინისთვის საინტერესო და მიმზიდველია. თუმცა, პროექტი, რომელსაც საქართველო მისი ევროპული ინტეგრაციის დამაჩქარებლად მიიჩნევდა, მომავალში ევროპის კავშირის მხრიდან შესაძლოა თბილისის ევროპული ამბიციის (ევროკავშირში გაწევრიანების) ერთგვარ შემაკავებლად იქნას გამოყენებული.

„აღმოსავლური პარტნიორობის“ ბრიუსელის სამიტზე ხაზგასმით დაფიქსირდა საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის ევროპული მისწრაფებები და ევროპული არჩევანის მხარდაჭერა, რომელთა ასოცირების შეთანხმებები უზრუნველყოფს ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის დაჩქარებას. ასევე, სამიტამდე გამოქვეყნებული ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურისა და ევროკომისიის ასოცირების შეთანხმების განხორციელების მე-2 ერთობლივ ანგარიშში ასახული მნიშვნელოვანი ხარვეზების მიუხედავად, საქართველო კვლავ რეფორმების ლიდერადაა აღიარებული.

<sup>1</sup> Civil.ge. “Merkel Says Georgia, Ukraine Not yet Ready for EU Visa Waiver”.  
<https://old.civil.ge/eng/article.php?id=28287>

მსგავსად, ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის 2018 წლის 12 ივლისის ბრიუსელის სამიტზე ხაზი გაესვა საქართველოს, როგორც ალიანსის ერთ-ერთი ყველაზე თავსებადი და გაძლიერებული შესაძლებლობების პარტნიორის მნიშვნელობას, რომელმაც ბოლო ათწლეულის განმავლობაში არსებით პროგრესს მიაღწია დემოკრატიის განმტკიცებისა და მზარდი ეკონომიკური განვითარების, თავდაცვის ინსტიტუტების ეფექტურობის ზრდის და შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციის სფეროში. ამასთანავე, ბრიუსელის სამიტზე მოკავშირეებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, საქართველო გახდება ალიანსის წევრი, გაწევრიანების სამოქმედო გეგმის, MAP-ის მინიჭებით, რაც ამ პროცესის განუყოფელი ნაწილია.

გამომდინარე იქიდან, რომ ევროპულ და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე მზარდი წარმატებების მიუხედავად, დასავლური სტრუქტურები თბილისს ურთიერთობების გაღრმავების რეალურ ინსტრუმენტს ვერ სთავაზობს, ცხადია, კანცლერის ვიზიტი საქართველოს დასავლური კურსის და რეფორმების მხარდასაჭერის მნიშვნელოვან გამოხატულებას წარმოადგენს.

ქართული მხარისთვის ანგელა მერკელის ვიზიტი საქართველოში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი უნდა იყოს გერმანიის **აღმოსავლური პოლიტიკის (Ostpolitik)** ირგვლივ ბერლინში დაწყებული დისკუსიის გათვალისწინებით. ფედერალური მთავრობის ახალმა საგარეო საქმეთა მინისტრმა უკანასკნელ თვეებში რამდენჯერმე ახსენა გერმანიის განახლებული “Ostpolitik”<sup>2</sup>-ის აუცილებლობა, რუსეთის და ზოგადად აღმოსავლეთ ევროპის მიმართ ახალი მიდგომების საჭიროების კონტექსტში. მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ **აუციელებელია გერმანიამ ახალი ევროპული აღმოსავლური პოლიტიკით უპასუხოს საქართველოსა და უკრაინას, რომელთა საზოგადოებებიც ბევრ შემთხვევაში ისეთივე ევროპულია, როგორც ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში.** ჰაიკო მასი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის იმ ფრთას ეკუთვნის, რომელსაც ძირითადად ახალგაზრდა და პარტიის წარსულისგან თავისუფალი პოლიტიკოსები შეადგენენ, მათი დამოკიდებულებაც რუსეთის, ევროპის კავშირის, აღმოსავლეთ სამეზობლოს მიმართაც განსხვავებულია სოციალ-დემოკრატიული პარტიის ძველი ლიდერების პოზიციისგან. ჯერჯერობით სიტყვათშეთანხმება New Ostpolitik შინაარსის გარეშე რჩება, მაგრამ, ვარაუდის დონეზე შეიძლება ითქვას, რომ „ახალი აღმოსავლური პოლიტიკის“ თუნდაც ჯერ ბუნდოვან იდეაში ქრისტიან-დემოკრატი მერკელი თავის სოციალ-დემოკრატი საგარეო საქმეთა მინისტრს ეთანხმება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია 23 აგვისტოს

<sup>2</sup>Speech by Foreign Minister Heiko Maas : „Courage to Stand Up for Europe – #EuropeUnited“  
<https://www.auswaertiges-amt.de/en/newsroom/news/maas-europeunited/2106528>

ვიზიტის გამოყენება, მათ შორის, გერმანიის შესაძლო განახლებულ პოლიტიკაზე სასაუბროდ.

მერკელის ვიზიტი რეგიონში გზავნილია როგორც სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებისთვის, ასევე ფართო რეგიონისთვის, როგორც დიდი სახელმწიფოებისთვის (აშშ, ჩინეთი), ასევე რეგიონული ლიდერი ქვეყნებისთვის (თურქეთი, ირანი). მიუხედავად ქვეყნის შიგნით არსებული პოლიტიკური დაპირისპირებებისა, ასევე ევროპის კავშირის შიდა ინსტიტუციონალური თუ პოლიტიკური პრობლემებისა, გერმანიის საგარეო-პოლიტიკურ თვალსაწიერში ექცევა შავი და კასპიის ზღვის რეგიონიც. მნიშვნელოვანია, ასევე, რომ ანგელა მერკელის რეგიონალური ვიზიტი ემთხვევა ხუთ სახელმწიფოს შორის კასპიის ზღვის ლეგალური სტატუსის შესახებ კონვენციის გაფორმებას, რაც ზრდის კასპიის და ცენტრალური აზიის ენერგეტიკული რესურსების დასავლეთის ბაზრებზე ტრანსპორტირების შესაძლებლობას.<sup>3</sup> მერკელის ვიზიტი გზავნილია ერევნისთვის, სადაც პაშინიანის რეფორმისტულ მთავრობას სასიცოცხლოდ სჭირდება ევროპის და განსაკუთრებით ბერლინის მხარდაჭერა.<sup>4</sup>

მიუხედავად იმისა, რომ მერკელსა და პუტინს შორის 18 აგვისტოს გამართული შეხვედრა, სადაც, სავარაუდოდ საქართველოს შესახებ არც არაფერი თქმულა, ორ ქვეყანას შორის ამ ეტაპზე გაზრდილი პრაგმატული ინტერესების დასტურია<sup>5</sup>, მერკელის თბილისში ვიზიტი მაინც აშკარა გზავნილია მოსკოვისთვის, რომლის აგრესიული ქმედებები უახლოესი სამეზობლოს მიმართ, ბერლინისთვის უფრო და უფრო მიუღებელია. ორმხრივად მომგებიანი ენერგეტიკული პროექტები გერმანიასა და რუსეთს შორის მედლის ერთი მხარეა, თუმცა, უკრაინაში ომის და ყირიმის მიტაცების შემდეგ გერმანიის საგარეო პოლიტიკაში, რომელიც ტრადიციულად რუსეთის ინტერესების „გაგებას“ ეფუძნებოდა, გარკვეულ ცვლილებებზე მიუთითებს. ამასთანავე, მიუხედავად გერმანიის ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის წინააღმდეგობისა, აგრეთვე, ევროპის კავშირის სახელმწიფოთა ჯგუფის (იტალია, უნგრეთი, ავსტრია, სლოვაკეთი, კვიპროსი) გაცხადებული სურვილისა, ბერლინი არ

<sup>3</sup> New York Times. “Russia and 4 Other Nations Settle Decades-long Dispute Over Caspian Sea”.  
<https://www.nytimes.com/2018/08/12/world/europe/caspian-sea-russia-iran.html>

Financial Times. “Merkel backs efforts to find alternatives to Russian gas”.  
<https://www.ft.com/content/f1e8c7c2-a524-11e8-8ecf-a7ae1beff35b>

<sup>4</sup> ვალერი ჩეჩელაშვილი. „გერმანიის კანცლერის მომავალი ვიზიტი სამხრეთ კავკასიაში: რეალობა და ამოცანები“. რონდელის ფონდი. <https://www.gfsis.org/blog/view/860>

<sup>5</sup> Financial Times. “Merkel and Putin discuss Syria and Ukraine at landmark meeting”.  
<https://www.ft.com/content/08f7f0c4-a303-11e8-8ecf-a7ae1beff35b>

ეთანხმება რუსეთზე დაწესებული სანქციების მოხსნას, ვიდრე მოსკოვი არ შეასრულებს საერთაშორისო ფორმატებში ნაკისრ ვალდებულებებს.

### **მერკელის საგარეო გზავნილები**

თუ რა გზავნილებით ჩამოვა თბილისში გერმანიის კანცლერი და რა საკითხები იქნება განსახილველად მოლაპარაკების მაგიდაზე, ამასთან დაკავშირებით მხოლოდ ფრთხილი ჰიპოთეტური მსჯელობა შეიძლება.

მეოცე საუკუნეში - დასაწყისშიც და ბოლოსაც - გერმანიას განსაკუთრებული როლი ერგო საქართველოს პირველი და ამჟამინდელი დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის საქმეში. მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის საგარეო პოლიტიკა საქართველოსა და რეგიონის მიმართ მეტ-წილად რუსეთთან ბერლინის პოლიტიკის პარალელურად ვითარდებოდა და ნაკლებად ეფუძნებოდა ინდივიდუალურად გაწერილ სტრატეგიულ ხედვას, სსრკ-ს დაშლის მერე დამოუკიდებლობა აღდგენილ საქართველოსთვის გერმანია უმნიშვნელოვანეს პარტნიორად და მხარდამჭერად იქცა. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა იყო პირველი სახელმწიფო, რომელმაც 1991 წელს აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და 1992 წელს საელჩო გახსნა თბილისში.

2008 წლის ბუქარესტის სამიტზე საქართველოსთვის ნატოს გაწევრიანების სამოქმედო გეგმის (MAP) დაბლოკვას, აგვისტოს ომის დასრულებიდან რამდენიმე თვეში გერმანიის მხრიდან რუსეთთან „მოდერნიზაციის პარტნიორობის“ შეთანხმებას, რომელიც კომერციულ, საგანმანათლებლო, საკანონმდებლო და სამოქალაქო აქტორებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებას გულისხმობდა, რბილად რომ ვთქვათ, ბერლინსა და თბილისს შორის ურთიერთობებზე პოზიტიურად არ უმოქმედია. თუმცა, აღნიშნული არასასურველი შედეგების მიზეზი სამართლიანი იქნება საქართველოს პოლიტიკაშიც ვეძებოთ. თბილისის მხრიდან დიპლომატიური რესურსის უმეტესწილად ვაშინგტონზე მიმართვამ და მეორე მხრივ, ევროპის დედაქალაქებში, მათ შორის ბერლინში, ნაკლები ძალისხმევით ჩადებამაც, გარკვეულად იმოქმედა ევროპულ დღის წესრიგში საქართველოს ნაკლებ პრიორიტეტულობაზე.

მერკელ-კვირიკაშვილის პოზიტიური შეხვედრის შემდეგ, მნიშვნელოვანია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ მერკელის ვიზიტი ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გასაღრმავებლად და საქართველოს საგარეო პოლიტიკური მიზნების მიღწევის გზაზე ეფექტურად გამოიყენოს. აშკარაა, რომ ახალგაზრდა და გამოუცდელ პრემიერ-მინისტრს უფრო დიდი ძალისხმევა დასჭირდება შეხვედრის წარმატებით განხორციელებაში. ბახტაძე ყველა მის წინამორბედ მმართველზე სუსტად გამოიყურება, რასაც ემატება კითხვები საქართველოში არაფორმალური



მმართველობასთან და ბახტაძის პოლიტიკურ დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით.

ვიზიტის ფარგლებში გერმანიის კანცლერი სავარაუდოდ მხოლოდ ტრადიციულ გზავნილებს გააუღერებს, რომლებიც, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია თბილისისთვის, თუმცა არასაკმარისი. ნატო-სთან მიმართებაში, მოსალოდნელია, მერკელის გზავნილი იყოს საქართველოს მხრიდან მაქსიმალური დროით მოთმინება ხელსაყრელი გარემოებების შექმნამდე, MAP-ის მინიჭებისა და გაწევრიანების შესახებ კონკრეტული თარიღის დასახელების გარეშე. მთავარი მიზეზი, რის გამოც არ ხდება MAP-ის მინიჭება საქართველოსთვის, ყოველთვის გულისხმობდა მოსაზრებას, რომ ეს ნაბიჯი გააბრაზებს და გააღიზიანებს რუსეთს. ბერლინის ფრთხილი დამოკიდებულება გასაგებია, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ საქართველოსთვის MAP-ის არ მინიჭებამ, როგორც მინიმუმ, ვერ უზრუნველყო მოსკოვის აგრესიული ზრახვების მოთოკვა უახლოესი სამეზობლოს მიმართ, რაც საქართველოს რეგიონებში სამხედრო ინტერვენციითა და ოკუპაციით დასრულდა და დღეს უკვე მათი ფაქტობრივი ანექსიით გრძელდება. მეორე მხრივ, კი, საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის საკითხის გაჭიანურება მხოლოდ აძლიერებს გერმანიის და ევროპის კავშირის მოქიშპე სახელმწიფოებს, მათ შორის, რუსეთს და რუსეთთან აფილირებულ პოლიტიკურ ძალებს საქართველოში.

ევროპის კავშირთან დაკავშირებით, ანგელა მერკელი სავარაუდოდ გაიმეორებს გერმანელი პოლიტიკოსებისა და ექსპერტების მიერ ხშირად გამოთქმულ პოზიციას, რომ ევროპის კავშირთან ასოცირების ხელშეკრულება არ არის გაწევრიანების წინაპირობა და რომ საქართველომ ეფექტურად უნდა გამოიყენოს ევროპის კავშირთან უკვე არსებული თანამშრომლობა და ამ თანამშრომლობის ფარგლებში შემოთავაზებული ინსტრუმენტები. მერკელის გზავნილი იქნება, რომ რეფორმები, პირველ რიგში, ემსახურება საქართველოს ევროპეიზაციას, დემოკრატიის კონსოლიდაციას და მოქალაქეთა კეთილდღეობის ზრდას, რაც უნდა იყოს კიდევ საქართველოს თვითმიზანი და არა რეფორმები სწრაფად გაწევრიანების მიზნით. სამინაო პოლიტიკასთან დაკავშირებით, რთულია სათქმელი რამდენად ღიად, თუმცა, ანგელა მერკელს აუცილებლად ექნება საუბარი საქართველოს დემოკრატიის ხარისხზე, რეფორმების მიმდინარეობის (რაშიც გერმანია გრანტების სახით სოლიდურ ფულს ხარჯავს), კანონის უზენაესობასთან და არაფორმალურ მმართველობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. გერმანიის კანცლერი დიპლომატიურ ენაზე მიუთითებს საქართველოს მთავრობას გამჭვირვალე, კონკურენტული და დემოკრატიული საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების მნიშვნელობაზე.

იმის გათვალისწინებით, რომ მერკელის საგარეო პოლიტიკური გზავნილები ძირითადად არახალი იქნება, მნიშვნელოვანია, რომ ქართულმა მხარემ თავად შესთავაზოს კანცლერს კონკრეტული იდეები. შეხვედრის დროს, ცხადია, საუბარი იქნება „აღმოსავლური პარტნიორობის“ პროგრამაზე და ამ კუთხით, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთავრობამ გერმანიის კანცლერს შესთავაზოს თანამშრომლობის შემდეგი ეტაპის ახალი ფორმები, მათ შორის ისინი, რომლებიც უკვე გაჟღერებულია ევროპარლამენტის მიერ ევროპული საბჭოს, ევროკომისიისა და ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურის მიმართ აღმოსავლეთ პარტნიორობის შესახებ რეკომენდაციაში - *‘EaP+’ მოდელის და ნდობის ფონდის შექმნა ასოცირებული ქვეყნებისათვის*.

აუცილებელია, რომ საქართველოს მთავრობამ მკაფიოდ დააყენოს საკითხი, რომ საქართველო, რომელსაც დიდი პროგრესი აქვს რეფორმების განხორციელების პროცესში, წახალისებაზე დაფუძნებული მიდგომის („მეტი მეტისთვის“) გათვალისწინებით ევროკავშირისგან მოელის მეტ ფინანსურ მხარდაჭერას, რომელიც შესაძლოა გამოიხატოს *საგარეო საინვესტიციო გეგმის დაფინანსების* ახალი შესაძლებლობებით, მათ შორის *მდგრადი განვითარების ევროპული ფონდის* დაარსებით. აღნიშნულ ინსტრუმენტებზე საუბრის პარალელურად მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას საქართველოსთვის „ევროპული პერსპექტივის“ მინიჭების აუცილებლობას, რომელიც არ შეიძლება და არ უნდა იყოს განმარტებული, როგორც საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების თარიღის განსაზღვრა.<sup>6</sup>

ორმხრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთავრობამ ყურადღება გაამახვილოს გერმანიასა და საქართველოს შორის უკანასკნელ პერიოდში შემცირებული ორმხრივი ვაჭრობის ტენდენციაზე და როგორც ბიზნეს დელეგაციასთან, ასევე კანცლერთან, ეკონომიკური თანამშრომლობის გაზრდაზე მკაფიო გზავნილები დააფიქსიროს.

გერმანიის კანცლერი შეხვედრის ფარგლებში აუცილებლად შეეხება ოკუპირებულ ტერიტორიებს, სავარაუდოდ, მოიწონებს საქართველოს მხრიდან გადადგმულ პრაგმატულ ნაბიჯებს რუსეთის ფედერაციის მიმართ და ასევე, გამოხატავს მხარდაჭერას საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებულ „ნაბიჯი უკეთესი მომავლისთვის“ ინიციატივაზე. თუმცა, აუცილებელია ვიზიტისას ქართულმა მხარემ ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით შემდეგი საკითხები დააყენოს - 1) უკრაინა-რუსეთის კონფლიქტისა და გერმანია-რუსეთის ურთიერთობებში შესამჩნევი ცვლილების შემდეგ მომწიფდა დრო, აფხაზეთის და ცხინვალის

<sup>6</sup> საქართველოს რეფორმების ასოციაცია. არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება – „აღმოსავლეთ პარტნიორობიდან ევროკავშირის წევრობამდე“.

<http://grass.org.ge/statement/aghmosavleth-partniorobidan-evrokavshiris-tsevrobamde/>

რეგიონში არსებულ სამართლებრივ მდგომარეობას ბერლინმა უწოდოს თავისი სახელი და არ მოერიდოს სიტყვა „ოკუპაციის“ ხსენებას (ოფიციალურად გერმანია ტერმინ "ოკუპაციას" არ იყენებს და ევროკავშირის ფარგლებშიც ამ ტერმინის დამკვიდრების კატეგორიული წინააღმდეგია). ამას გარდა, ანგელა მერკელს ქართულმა მხარემ მკაფიოდ უნდა ჩამოუყალიბოს, რომ რუსეთის მხრიდან ოკუპირებული რეგიონების ანექსიის პროცესის ყველა ნიშანია სახეზე, რის შესაჩერებლადაც აუცილებელია საქართველოს დასავლელი პარტნიორების სერიოზული ძალისხმევა; 2) ინიციატივა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისათვის“, რომელიც გულისხმობს გამყოფი ხაზების ორივე მხარეს ვაჭრობის წახალისებას, ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას და სხვადასხვა სიკეთეებით სარგებლობის შესაბამისი მექანიზმების შექმნას, რაც დამატებით სტიმულსა და საფუძველს მისცემს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის ჰუმანიტარული და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, გამყოფი ხაზების გასწვრივ ადამიანების გადაადგილების და საერთო ინტერესებზე დაფუძნებული ურთიერთობების დამყარებას - პოლიტიკურის გარდა, საჭიროებს ფინანსურ მხარდაჭერას ევროპის კავშირის მხრიდან მისი წარმატებით განხორციელებისთვის; 3) ტატუნაშვილი-ოთხოზორიას სიის მხარდაჭერის საკითხი.

ძიუდოში არსებობს დამამშვიდებელ საჭიდაო რაუნდში სპორტსმენის გადაყვანის აღმნიშვნელი ფრანგული ტერმინი - რეპასაჟ, საქართველო უკვე ათი წელია დამამშვიდებელ რაუნდშია, ანგელა მერკელის ვიზიტი - შესაბამისი პოლიტიკური ნების შემთხვევაში - შეიძლება „ოქროს მედლისთვის“ ბრძოლაში საქართველოს ახალ ეტაპზე გადასაყვანად გერმანიის, როგორც მიუკერძოებელი მსაჯულის, მიერ ანთებული მწვანე შუქი აღმოჩნდეს. გერმანიის კანცლერის პოლიტიკურ დაისზე ეს საუკეთესო საჩუქარი იქნებოდა თავად მერკელისთვის, საქართველოსთვის და ევროპისთვის.